საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია
GEORGIAN OIL & GAS CORPORATION

მ: 0190, თბილისი, კახეთის გზატკ. 21 **ტ:** (+995 32) 2 244 040 **ფ:** (+995 32) 2 244 041 **ე:** public@gogc.ge www.gogc.ge
A: 0190, Tbilisi, Georgia 21, Kakheti Highway **T:** (+995 32) 2 244 040 **F:** (+995 32) 2 244 041 **M:** public@gogc.ge www.gogc.ge

№LE140820/02-02 „14" 08 2020 წ

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია ახორციელებს მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაციისა და მშენებლობის პროექტებს, ქვეყნის გაზმომარაგების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობისა და სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების გაზმომარაგებას.

კორპორაციამ ბუნებრივი გაზის საიმედო მიწოდების მიზნით, აღნიშნულ მაგისტრალურ გაზსადენზე განახორციელა სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები, ამჟამად აღნიშნული მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასასრულებლად დარჩენილია რამდენიმე მონაკვეთი, რომელთა შორის ძირითადია ხაშური-ზესტაფონის 70 კმ მონაკვეთი.

წინამდებარე სკოპინგის ანგარიში მომზადებულია აღნიშნული 70 კმ მონაკვეთის პირველი (აღმოსავლეთის მხრიდან) 36 კმ ნაწილის მშენებლობის პროექზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართით, გაზის ტრანსპორტირების მიზნით, 5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, თუმცა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები".

შესაბამსად, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია", უზრუნველყოფს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურების გავლას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და წარმოგვიდგინოთ სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 12965
"17" 08 2020
02

დანართი №1 - სკოპინგის ანგარიში

დანართი №2 - საპროექტო ტერიტორიის shp da kmz ფაილები.

პატივისცემით,

არჩილ დეკანოსიძე

დირექტორი ტექნიკურ საკითხებში